პროლეტარიელებო, გაერთიანდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 30 იანვარი, 1952 წ. № 25 (9185). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა — „პრავდის“ 29-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (1-ლი და მე-2 გვერდი).

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებისადმი (მე-3 გვერდი)

მარშალ ჩოიბალსანის კუბოსთან (მე-3 გვერდი).

მოწინავე ხალხი გლოვობს მძიმე დანაკლისის გამო (მე-3 გვერდი).

მარშალი ჩოიბალსანი (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, რომელიც დღეს ქვეყნდება, მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა ხალხის მიერ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეულ შესანიშნავ წარმატებებს.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, გასულ წელს დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგმა და უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვნად გაადიდა პროდუქციის გამოშვება ჩვენმა მრეწველობამ.

საერთო პროდუქციის წარმოების 1951 წლის წლიური გეგმა შესრულებულია მთლიანად მრეწველობაში 103,5 პროცენტით. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1951 წელს 1950 წელთან შედარებით 16 პროცენტით გადიდდა. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

გასულ წელს საბჭოთა მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვანი თავისებურება იყო **სამრეწველო პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება.** ამასთან ერთად გაუმჯობესდა მოწყობილობის გამოყენება და შემცირდა პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვა. **სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დაწესებული გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.**

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა განუწყვეტლივ იარაღდება მოწინავე ტექნიკით. უდიდესი მასშტაბით ხორციელდება მძიმე, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია და წარმოების ავტომატიზაცია. გასულ წელს შემდგომი წარმატებებია მიღწეული ახალი ტიპის მანქანების, მექანიზმებისა და მასალების ათვისებაში. ჩვენმა მანქანათმშენებლობამ შექმნა ხუთასამდე უმნიშვნელოვანესი ახალი ტიპისა და მარკის მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის განუხრელ ტექნიკურ პროგრესს. დანერგილია მუშაობა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შვიდას ათასამდე გამოგონება და წინადადება, რომლებიც მიმართულია წარმოების პროცესების გაუმჯობესებისა და ძირეული სრულყოფისაკენ.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში ახალი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსავლიანობის განმსაზღვრელი მთავარი სახელმწიფო ინსპექციის მონაცემებით მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა 1951 წელს **7 მილიარდ 400 მილიონი ფუთი** შეადგინა.

1951 წელს კვლავ ვითარდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ახლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობა სჭარბობს პირუტყვის საერთო სულადობაში. ყველა კატეგორიის მეურნეობებში პირუტყვის საერთო სულადობა თითქმის თოთხმეტი მილიონი სულით გადიდდა.

იზრდება და მტკიცდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. შარშან მან მიიღო ას ოცდაჩვიდმეტი ათასი ტრაქტორი თხუთმეტძალიანზე გადაყვანით, მარცვლეულის ასაღები ორმოცდაცამეტი ათასი კომბაინი, აქედან ოცდაცხრა ათასი თვითმავალი კომბაინი, ორმოცდაცხრამეტი ათასი სატვირთო ავტომობილი, აგრეთვე ორი მილიონი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან ერთად დიდი სამუშაოები შესრულდა მისი ელექტროფიკაციისათვის. ხორციელდება ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა.

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბით წარმოებს კაპიტალური მშენებლობა. გასულ წელს განხორციელდა ფართო სამშენებლო პროგრამა: სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ 1950 წელთან შედარებით 112 პროცენტი შეადგინა. წარმატებით შესრულდა ვოლგაზე, დონსა და დნეპრზე დიდ ჰიდროტექნიკური ნაგებობათა მშენებლობის, აგრეთვე თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის 1951 წლისათვის დაწესებული საგეგმო დავალებანი.

სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობა და მაღლდება კულტურა. გასულ წელს გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლა. საბჭოთა მთავრობამ 1951 წლის 1 მარტიდან განახორციელა საცალო ფასების ახალი — სპარათო სისტემის გაუქმების შემდეგ სათვალავით მეოთხე — შემცირება, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა მანეთი, გაადიდა მისი მყიდველობითი უნარი და შემდგომ გაადიდა მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა.

სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი კვლავ დიდდება და 1951 წლის დამლევისათვის შეადგინა 40,8 მილიონი. 1951 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა. მრეწველობის ყველა დარგში განუწყვეტლივ იზრდებიან კვალიფიციურ მუშათა კადრები.

1951 წელი აღინიშნა ახალი წარმატებებით სოციალისტური კულტურის ყველა დარგში. **სსრ კავშირში მოსწავლეთა რიცხვი, ყველა სახის სწავლების ჩათვლით, შარშან შეადგენდა 57 მილიონს.** უმაღლესმა და საშუალო სასწავლებლებმა ასეულ ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტი გამოუშვეს.

მასების კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა ჩანს საბინაო მშენებლობის გაფართოებით. მარტო შარშან სახელმწიფომ და ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააშენეს ოცდაშვიდი მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, სოფელ ადგილებში აშენებულია ოთხასი ათასამდე სახლი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის ყველაზე მკაფიო და ყოვლისმომცველი მაჩვენებელია განუხრელი ზრდა ნაციონალური შემოსავლისა, რომელიც 1951 წელს 1950 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, 12 პროცენტით გადიდდა. საბჭოთა კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნით. ამასთან სსრ კავშირის მშრომელებმა თავიანთი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისევე როგორც წინა წელს, მიიღეს ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი, ხოლო ნაციონალური შემოსავლის დანარჩენი ნაწილი დარჩა სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების განკარგულებაში სოციალისტური წარმოების გასაფართოებლად და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების, მუშა-მოსამსახურეთა ფულადი ხელფასის ზრდის, გლეხთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდებისა და სახელმწიფოს ხარჯზე მოსახლეობისათვის დახმარებისა და შეღავათების ზრდის შედეგად **მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი და გლეხთა შემოსავალი 1951 წელს, შესადარ ფასებში, 1950 წელთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა.**

საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის შესანიშნავი წარმატებანი სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობათა, კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით მისი გადამწყვეტი უპირატესობის შედეგია. ეს წარმატებანი მიღწეულია საბჭოთა სახელმწიფოს სტალინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების საფუძველზე. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ შთაგონებული საბჭოთა ხალხი არ იშურებს ძალასა და შრომას საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, უდიდესი აღმავლობით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას.

ყოველდღიურად ზრუნავს რა ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, ჩვენი ხალხი განუხრელად აღიდებს თავის შრომითს აქტივობასა და ინიციატივას, აძლიერებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ტემპს. საბჭოთა ადამიანების მისწრაფება იქითკენ არის მიმართული, რომ სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს სახელმწიფო გეგმებს და ამ მიზნით უფრო სრულად და უკეთ იყენებდეს წარმოების შინარეზერვებს.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის მრეწველობის ცალკეული დარგები, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმას. შარშან გეგმა ვერ შეასრულეს სატყეო მრეწველობამ, მებამბეობისა და გზათა სამინისტროების სამრეწველო საწარმოებმა.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მრეწველობის მთელი რიგი დარგები, თუმცა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ საერთო პროდუქციის გეგმას, მაგრამ ყოველთვის ვერ ასრულებენ გეგმით დაწესებულ დავალებებს უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის წარმოების დარგში. მაგალითად, შარშან მთლიანად ვერ შეასრულეს ცალკეულ მნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის გეგმა შავი მეტალურგიის, მძიმე მანქანათმშენებლობის, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებმა.

ასეთი ნაკლოვანებანი უნდა აღმოიფხვრას. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული საწარმო გეგმას ასრულებდეს დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით, ამასთან უზრუნველყოფდეს პროდუქციის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკა, რომლითაც შეიარაღებული არიან ჩვენი საწარმოები, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება თვითეულ საწარმოში მუშაობის საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების სოციალისტურ შეჯიბრებას, გაუმჯობესონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აღზარდონ მშრომელნი შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, გაჩაღონ ნაკლოვანებათა კრიტიკა და თვითკრიტიკა, იბრძოლონ შემდგომი აღმავლობისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც მიღწეულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, აღფრთოვანებენ საბჭოთა ხალხს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

„პრავდის“ 29-I მოწინავე

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვის გაზრდა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება 1951 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I

წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

საერთო პროდუქციის წარმოების 1951 წლის წლიური გეგმა მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია 103,5 პროცენტით. ცალკეულ სამინისტროებს მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა შესრულებული აქვთ შემდეგნაირად:

	1951 წლის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
შავი მეტალურგიის სამინისტრო	104
ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	102
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	100,7
ნავთის მრეწველობის სამინისტრო	103
ელექტროსადგურების სამინისტრო	102
ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	104
ელექტრომრეწველობის სამინისტრო	103
კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო	102
მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	100
საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო	100,6
დაზგათმშენებლობის სამინისტრო	100
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	100,9
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	106
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	100,9
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	104
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	102
სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო	94
ქაღალდისა და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	103
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102
სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო	109
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	103
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო	107
სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	99,7
გზათა სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	99,1
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	106
სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	103
მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები და ადგილობრივი სათბობის მრეწველობის სამინისტროები	106
სარეწაო კოოპერაცია	106

1951 წელს გადაჭარბებით არის შესრულებული ცალკეული სახეობის შავი ლითონების, ზოგიერთი ფერადი ლითონის, რკინის მილების, ქვანახშირის, კოქსის, ნავთის, ბუნებრივი გაზის, ბენზინის, ლიგროინის, დიზელის სათბობის, ტორფის, ელექტროენერგიის, ელექტრომოტორების, ელექტროვაკუუმური ხელსაწყოების, ლითონსაჭრელი დაზგების, სართავი მანქანების, საქსოვი დაზგების, საფთილავი მანქანების, ტრაქტორების, მარცვლეულის კომბაინების, სელის კომბაინების, რთული სალეწი მანქანების, სელსაგლეჯი მანქანების, ტყის სარგავი მანქანების, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, ავტობუსების, სამაგისტრალო ორთქლმავლების, თბომავლების, ელმავლების, გრეიდერების, ბულდოზერების, მოტორიანი სატკეპნების, საავტომობილო ამწეების, ავტომტვირთავების, ბურთულსაკისარების, სინთეზური კაუჩუკის, ავტოსაბურავების, სინთეზური ამონიაკის, კაუსტიკური სოდის, გოგირდმჟავას, მინერალური სასუქების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და სარეველა ბალახების წინააღმდეგ საბრძოლველი შხამქიმიკატების, საღებავებისა და სხვა ქიმიკატების, რბილი სახურავის, შიფერის, ფანჯრის მინის, ქაღალდის, სპირტისა და სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა.

გადაჭარბებით არის შესრულებული მთავრობის დავალება დაწესებული წლიური გეგმის გადამეტებით სამრეწველო და სასურსათო საქონლის დამატებით გამოშვების დარგში. 1951 წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი ბამბეულის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილი, შეკერილი ნაწარმი, წინდის ნაწარმი, რეზინის ფეხსაცმელი, საკერავი მანქანები, საათები, ფოტოაპარატები, ძეხვეული, შესქელებული რძე, ყველი, მცენარეული საჭმელი ზეთი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, კონსერვები, მაკარონის ნაწარმი, ჩაი, ყურძნის ღვინო, შამპანური, ლუდი, საპონი, პაპიროსი, ასანთი და სხვა საქონელი მოსახლეობისათვის.

თუმცა მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვებისა და ნატურით სამრეწველო პროდუქციის მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების წლიური გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ზოგიერთმა სამინისტრომ ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა პროდუქციის გეგმა. ამასთან ცალკეულმა საწარმოებმა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს მეორეხარისხოვანი ნაწარმის გამოშვების გზით, ამავე დროს არ შეუსრულებიათ სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ნაწარმის გამოშვების გეგმა.

1951 წელს გრძელდებოდა სამრეწველო პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება. მაგრამ წარმოების ყველა დარგს მთლიანად როდი აქვს შესრულებული სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დავალებანი დადგენილი ასორტიმენტისა და ხარისხის პროდუქციის ცალკეულ სახეობათა წარმოებისა და ჩაბარების დარგში. მაგალითად, შავი მეტალურგიის სამინისტროს მთლიანად არა აქვს შესრულებული შავი ლითონების ნაგლინის ცალკეულ სახეობათა გეგმა, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს არ შეუსრულებია ორთქლის ქვაბებისა და ორთქლის ტურბინების წარმოების გეგმა, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს — ცალკეულ სახეობათა ქიმიური მოწყობილობის, კომპრესორებისა და საანგარიშო მანქანების, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს — ტრაქტორის სათესი მანქანების, ტრიერების, დამხარისხებელი მანქანებისა და ზოგიერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანის, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს — ზოგიერთი სახეობის ცემენტის წარმოების გეგმა, სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს არ შეუსრულებია ძირითად სახეობათა სამასალე მერქნის გამოზიდვის გეგმა.

II

სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1951 წელს 1950 წელთან შედარებით შემდეგნაირად შეიცვალა:

	1951 წელი პროცენტობით 1950 წელთან შედარებით
თუჯი	114
ფოლადი	115
ნაგლინი	115
რკინის მილები	114
სპილენძი	114
ტყვია	125
თუთია	115
ქვანახშირი	108
ნავთობი	112
ბუნებრივი გაზი	108
ბენზინი	120
ნავთი	103
დიზელის სათბობი	145
ელექტროენერგია	114
ორთქლის ტურბინები	110
დიდი ჰიდროტურბინები	245
ტურბინგენერატორები	211
ჰიდროგენერატორები	193
დიდი ელექტრომანქანები	137
ელექტრომოტორები	124
ელექტროლამპები	120
დიდი, მძიმე და უნიკალური დაზგები	111
ქიმიური მოწყობილობა	138
სასოფლო-სამეურნეო მანქანები	115
ტრაქტორის სათესი მანქანები	115
ტრაქტორის კულტივატორები	117
მარცვლეულის კომბაინები	115
სამაგისტრალო ელექტრომავლები	111
ავტობუსები	134
მოტოციკლები	102
ექსკავატორები	105
საანგარიშო მანქანები	201
ბურთულსაკისარები	130
კალცინირებული სოდა	109
კაუსტიკური სოდა	108
საღებავები	115
მინერალური სასუქები	107
სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და სარეველა ბალახების წინააღმდეგ საბრძოლველი შხამქიმიკატები	185
სინთეზური კაუჩუკი	120
ცემენტი	119
აგური	120
რბილი სახურავი	113
შიფერი	127
სტანდარტული სახლები	116
სამასალე მერქნის გამოზიდვა	117
ქაღალდი	112
ველოსიპედები	178
საკერავი მანქანები	133
საათები	127
ფოტოაპარატები	137
რადიომიმღებები	116
პატეფონები	124
პიანინოები და როიალები	121
ბამბის ბოჭკო	133
ბამბის ქსოვილები	122
სელის ქსოვილები	111
შალის ქსოვილები	113
აბრეშუმის ქსოვილები	134
წინდის ნაწარმი	126
ტყავის ფეხსაცმელი	117
რეზინის ფეხსაცმელი	111
თევზი	122
ხორცი	112
ძეხვეული	117
ერბო-კარაქი	106
რძის პროდუქტები	144
შესქელებული რძე	144
ყველი	120
მცენარეული საჭმელი ზეთი	112
საკონდიტრო ნაწარმი	116
შაქარი	118
სპირტი	111
ყურძნის ღვინო	124
შამპანური	121
ლუდი	116
კონსერვები	118
ასანთი	106
პაპიროსი	113
ჩაი	131

(დასასრული მე-2 გვერდზე)

წყალი მოდის!

ციმლიანსკაიას წყალსაცავის სამშენებლო მოედანი. (საკ. სს.). „წყალი მოდის!“ — ეს ამბავი მალე მოედო დონისპირა ხუტორებსა და სტანიცებს. განხორციელდა სოფლის მეურნეობის მშრომელთა ს-ტყუნეობრივი ოცნება — დაიწყო ციმლიანსკაიას წყალსაცავის ავსება. წყალი მოდის ხორშაკით გამოფიტულ საკოლმეურნეო მინდვრებში. ამაზე ბევრს ლაპარაკობენ სტალინგრადში, დონის კალაჩში, ახალ ადგილზე გადასახლებულ რაიონულ ცენტრში — სტანიცა ნაგნე-ჩირსკაიაში, დონისპირა ხუტორებში.

დღეს დონის ნაპირებზე დიდი გამოცოცხლებაა. ათასობით ადამიანი გავიდა მდინარის პირას. მომატებული წყლის მიწოლით სკდება ნაპირის ყინული. ყინული შეინძრა, ზემოთ აიწია, წყლის დონის ცვლილებამ უკვე მიაღწია კალაჩს.

— წყალი მოდის, — სიხარულით აშბობენ კოლმეურნეები.

დონის ჭალის უკანასკნელ ტყეებში დაძაბულად მუშაობენ ტყის მჭრელები. ისინი აჩქარიან წყალსაცავის ადგილის გაწმენდას. დონის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მეთერმეტე უბანი, სადაც ყველაზე ადრე მიგა წყალი, მზად არის ასავსებად. დანარჩენ უბნებს ჩქარი ტემპით ამზადებენ.

წყალსაცავის მშენებელთა დასახმარებლად გუშინ და დღეს ჩამოვიდნენ სტალინგრადისა და მისი ოლქის მშრომელთა ბრიგადები. ადამიანები უკანასკნელ დღეებს მუშაობენ მიწის ზედაპირზე. მალე ეს ადგილი ზღვის ფსკერი გახდება.

ზღვა მოდის დონისპირა სტანიცებისაკენ.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

29 იანვარს ა. ა. ფადეევის თავმჯდომარეობით გაიმართა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის მორიგი პლენარული სხდომა.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების ამხ. ჩულაკისა და ტვერდოხლებოვის საინფორმაციო მოხსენებანი საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის დარგში საბჭოთა მსახიობების მიღწევების შესახებ.

განხილულ იქნა აგრეთვე კომიტეტის წევრთა საინფორმაციო მოხსენებანი ოპერის, დრამისა და სიმღერა-ცეკვის ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ. განხილულ იქნა კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების შრომები, რომლებიც წარდგენილია სტალინური პრემიის მოსაპოვებლად. (საკ. სს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1951 წელს 1950 წელთან შედარებით 16 პროცენტით გადიდდა.

გასულ წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობამ, მომარაგების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, მიიღო გაცილებით მეტი ნედლეული, მასალა, სათბობი, ელექტროენერგია და მოწყობილობა, ვიდრე 1950 წელს.

1951 წელს გრძელდებოდა მრეწველობაში მოწყობილობის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება. შავ მეტალურგიაში ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენება გასულ წელს 1950 წელთან შედარებით 5 პროცენტით და უფრო მეტად გაუმჯობესდა. მარტენის ღუმელების ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე ფოლადის მიღება თითქმის 5 პროცენტით გადიდდა. ნავთის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გადიდდა საექსპლოატაციო ბურღვის სიჩქარე. გადიდდა გამჭვირვალე ნავთპროდუქტების გამოსავლიანობის პროცენტი. ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გასული წლის მანძილზე 19 პროცენტით გადიდდა ქვანახშირის კომბაინების წარმადობა, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გაუმჯობესდა სინთეზური კაუჩუკისა და სინთეზური ამონიაკის საწარმოებელ სიმძლავრეთა გამოყენება. გაუმჯობესდა მოწყობილობის გამოყენება ბამბეულის მრეწველობასა და ცემენტის მრეწველობაში.

1951 წელს 1950 წელთან შედარებით ნედლეულის, მასალის, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვა პროდუქციის ერთეულზე შემცირდა, ხოლო მრეწველობის ბევრ დარგში შემცირდა საგეგმო ნორმებთან შედარებითაც. 1951 წლისათვის დაწესებული სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. 1951 წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 26 მილიარდ მანეთზე მეტი, ამაში არ შედის ნედლეულისა და მასალის საბითუმო ფასების შემცირებით მიღებული ეკონომია. მრეწველობის განვითარების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში 1951 წელს მოპოვებულ წარმატებათა საფუძველზე მთავრობამ 1952 წლის 1 იანვრიდან განახორციელა ლითონის, მანქანებისა და მოწყობილობის, სათბობის, ქიმიკატების, საშენი მასალის, ქაღალდის საბითუმო ფასების ახალი შემცირება, აგრეთვე ელექტროენერგიისა და თბოენერგიის და ტვირთზიდვის ტარიფების შემცირება.

III.

ახალი ტექნიკის დანერგვა სახალხო მეურნეობაში

1951 წელს მიღწეულია შემდგომი წარმატებანი ახალი ტიპის მანქანების, მექანიზმებისა და მასალების ათვისებაში.

საბჭოთა მანქანათმშენებლობამ 1951 წელს შექმნა 500-მდე უმნიშვნელოვანესი ახალი ტიპისა და მარკის მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის შემდგომ ტექნიკურ პროგრესს.

შექმნილია ახალი ტიპის მძლავრი ორთქლის ტურბინები და ქვაბები მაღალი წნევისა, ჰიდროტურბინები და ჰიდროგენერატორები, საჰაერო გამომრთველები, მაღალი ძაბვის განმამხოლოებლები და განმმუხტველები შორ მანძილზე ელექტროენერგიის გადასაცემად.

დიდ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის გამოშვებულია მძლავრი მიწისმწოვი მანქანები და მიწახაპები, დიდი წარმადობის თითოციცხვიანი მოსიარულე და მრავალციცხვიანი ექსკავატორები, მძლავრი ბეტონსარეველები ბეტონის ავტომატიზებული ჭარხნებისათვის და 25-ტონიანი სატვირთო ავტომობილები.

დაზგათმშენებელმა მრეწველობამ აითვისა 150-მდე ახალი სახეობის დიდი წარმადობის ლითონსაჭრელი დაზგები და სამჭედლო-საწნეხე მანქანები და მნიშვნელოვანი რაოდენობით ახალ სახეობათა მაგარი შენადნობის ინსტრუმენტი.

გამოშვებულია ახალ სახეობათა მოწყობილობა ნავთის, ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგებისა და ტრანსპორტისათვის.

მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციისათვის დამზადებულია ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი, სარგავი, მარცვლეულის, ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების მოსავლის ასაღები და დასამუშავებელი ახალი ტიპის იარაღ-მანქანები. გარდა ამისა, მთელი რიგი ახალი მანქანები გაკეთებულია საკვების დამზადების მექანიზაციისათვის, აგრეთვე საცავი ტყეების გაშენების სამუშაოთა შესასრულებლად.

მნიშვნელოვნად ამაღლდა მექანიზაციის დონე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ქვანახშირის მრეწველობაში ჯერ კიდევ 1950 წელს დამთავრდა ქვანახშირის მოყელვის, მონგრევის, გამოზიდვის პროცესებისა და მიწისქვეშა ტრანსპორტის მექანიზაცია. 1951 წელს დაიწყო თხელი და ციცაბო ფენების დასამუშავებელი ახალი ტიპის კომბაინების დანერგვა, რომლებმაც აამაღლეს ქვანახშირის ტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე. 1.500-ზე მეტი კომბაინი და საყელავი მანქანა და 1.350 კონვეიერული ხაზი გადაყვანილია დისტანციურ მართვაზე.

სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა 1950 წელთან შედარებით გადიდდა ხე-ტყის დამზადებისა და მოზიდვისა—1,7-ჯერ, ხე-ტყის ჩატვირთვისა—2,2-ჯერ და ხე-ტყის გამოტანისა — 1,2-ჯერ.

1951 წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გრძელდებოდა ახალი მაღალნაყოფიერი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, სრულდებოდა სამუშაოები წარმოების შემდგომი ავტომატიზაციისათვის.

შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოებში ფოლადის მთელი წარმოების 87 პროცენტს ადნობენ სითბოს რეჟიმის ავტომატური რეგულირებით აღჭურვილ მარტენის ღუმელებში. გადიდდა ნაგლინის პერიოდული პროფილების წარმოება, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს ლითონის ხარჯვა შემდგომი დამუშავების დროს.

ფერად მეტალურგიაში ინერგებოდა მადნის, კონცენტრატებისა და შლამების, გამდიდრებისა და კომპლექსური გადამუშავების ახალი მეთოდები და სრულყოფილი ტექნოლოგია, რომლებიც უზრუნველყოფენ ფერადი და იშვიათი ლითონების სრულად ამოღებას.

ნავთის მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბურღვის ტურბინული ხერხის გამოყენება. შემდგომ განვითარდა ნავთის ამოღება შრეობრივი წნევის დაცვის მეთოდის გამოყენებით, რაც ადიდებს შრეებიდან ნავთის სრულ ამოღებას. ინერგებოდა საბჭოთა მოწყობილობის ბაზაზე ნავთის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიური პროცესები, რამაც შესაძლებელი გახადა ნავთპროდუქტების გამოსავლიანობის გადიდება და მათი ხარისხის გაუმჯობესება.

მანქანათმშენებლობაში უფრო გავრცელდა ლითონის დამუშავების მოწინავე მეთოდები — ჩქაროსნული ჭრა, ლითონის დამუშავების ახალი ელექტრული და თერმული ხერხები.

ინერგებოდა მასობრივი დეტალების ზომის საკონტროლო ავტომატები და ნახევრადავტომატები.

სრულდებოდა ჰიდროელექტროსადგურების კომპლექსური ავტომატიზაციისა და ელექტროსადგურთა საქვაბო აგრეგატების სითბოს პროცესების ავტომატიზაციის სამუშაოები. რაიონული ჰიდროელექტროსადგურების 90 პროცენტზე მეტს აგრეგატების ავტომატიზებული მართვა აქვს.

1951 წელს დაინერგა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა 700 ათასამდე გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც მიმართულია წარმოების პროცესების გაუმჯობესებისა და ძირეული სრულყოფისაკენ.

IV

სოფლის მეურნეობა

1951 წელს სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ახალ წარმატებებს მიაღწია მიწათმოქმედებისა და ნეცხოველეობის განვითარებაში, აგრეთვე კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსავლიანობის განმსაზღვრელი მთავარი სახელმწიფო ინსპექციის ცნობებით, მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი, მიუხედავად ვოლგისპირეთის, დასავლეთ ციმბირის, ყაზახეთის რაიონებში და ზოგიერთ სხვა რაიონში ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, 1951 წელს 7 მილიარდ 400 მილიონ ფუთს შეადგენს. ამასთან სასურსათო მარცვლეული კულტურების — ხორბლისა და ჭვავის — მოსავალი მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს. ნედლი ბამბის საერთო მოსავალმა გადააჭარბა 1950 წლის მოსავალს და მეტი იყო, ვიდრე წარსულ წლებში. შაქრის ჭარხლის მოსავალი მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს, და გადააჭარბა 27 მილიონ ტონას.

ყველა კულტურის ნათესი ფართობი 1951 წელს გადიდდა 1950 წელთან შედარებით 6,7 მილიონი ჰექტარით. ამასთან გადიდდა ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას და სხვა ტექნიკური კულტურების ნათესები. ვნიშვნელოვნად გაფართოვდა მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების ნათესები.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს 1952 წლის მოსავლის საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა. 1952 წლის საგაზაფხულო კულტურებისათვის მზრალად მოხნულია 5,4 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1950 წლის შემოდგომაზე.

1951 წელს უფრო განმტკიცდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა.

გასულ წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 137 ათასი ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით, მარცვლეულის ასაღები 53 ათასი კომბაინი, აქედან 29 ათასი თვითმავალი კომბაინი, 59 ათასი სატვირთო ავტომობილი, აგრეთვე ორი მილიონი ნიადაგის დასამუშავებელი სათესი, მოსავლის ასაღები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა უფრო გაგვედიდებინა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1951 წელს კოლმეურნეობებში 19 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო შეასრულეს, ვიდრე 1950 წელს. გასულ წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა კოლმეურნეობებში მინდვრის ყველა სამუშაოთა ორ მესამედზე მეტი შეასრულეს. კოლმეურნეობებში მექანიზებულია თითქმის მთელი ხვნა და თესვის სამი მეოთხედი; კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების მთელი ფართობის 60-ზე მეტი პროცენტი აღებულია კომბაინებით. საბჭოთა მეურნეობებში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები თითქმის მთლიანად მექანიზებულია.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან ერთად შესრულებულია დიდი სამუშაოები მისი ელექტროფიკაციის დარგში. 1951 წელს კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდა ელექტროენერგიის გამოყენება მარცვლის დამუშავების, საკვების დამზადების, წყალმომარაგების, ძროხის წველისა და ცხვრის პარსვის დროს.

1951 წელს გრძელდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდა.

ახლა საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობა საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობასთან ერთად სჭარბობს პირუტყვის საერთო სულადობაში.

საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში 1951 წელს გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 12 პროცენტით, მათ შორის ძროხისა— 15 პროცენტით, ღორის სულადობა — 26 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 8 პროცენტით და ცხენისა — 8 პროცენტით. ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებში ერთნახევარჯერ გადიდდა.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში გასულ წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 15 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 14 პროცენტით, ღორის სულადობა — 21 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 11 პროცენტით და ცხენისა — 14 პროცენტით. ფრინველის სულადობა საბჭოთა მეურნეობებში 27 პროცენტით გადიდდა.

პირუტყვის საერთო სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებში 1951 წელს გადიდდა თითქმის 14 მილიონი სულით, მათ შორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 1 მილიონ 600 ათასზე მეტით, ღორისა— 2 მილიონ 600 ათასით, ცხვრისა და თხისა — 8 მილიონ 500 ათასით და ცხენისა — თითქმის ერთი მილიონით. ფრინველის სულადობა ერთი წლის მანძილზე 60 მილიონზე მეტი ფრთით გადიდდა.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის კოლმეურნეობებმა, სატყეო მეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა და ტყესაცავმა სადგურებმა, აგრეთვე ველიანი და ტყეველიანი რაიონების საბჭოთა მეურნეობებმა 1951 წელს დარგეს და დათესეს 745 ათასი ჰექტარი მინდორსაცავი ტყეები.

V

რკინიგზის, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვის ზრდა

რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის წლიური გეგმა 1951 წელს შესრულებულია გადაჭარბებით. 1950 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა გადიდდა 12 პროცენტით. სამუალო სადღეღამისო დატვირთვის საერთო გეგმა რკინიგზებმა 103 პროცენტით შეასრულეს.

სახელმწიფო გეგმით დაწესებული დავალება ვაგონის ბრუნვის დაჩქარების დარგში გასულ წელს შესრულებულია გადაჭარბებით. რკინიგზებზე სათბობის ხარჯი ტონა-კილომეტრზე 1950 წელთან შედარებით 3 პროცენტით შემცირდა. მაგრამ რკინიგზების საექსპლოატაციო მუშაობის გაუმჯობესების დავალება მთლიანად არ შესრულებულა.

სამდინარო ტრანსპორტით ტვირთების გადატანის წლიური გეგმა 1951 წელს შესრულებულია 100,6 პროცენტით. სამდინარო ტრანსპორტით ტვირთზიდვა 1950 წელთან შედარებით 13 პროცენტით გადიდდა.

საზღვაო ტრანსპორტით ტვირთზიდვის გეგმა 1951 წელს შესრულებულია 102 პროცენტით. საზღვაო ტრანსპორტით ტვირთზიდვა 1950 წელთან შედარებით 8 პროცენტით გადიდდა.

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1950 წელთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა.

VI

კაპიტალდაბანდებათა ზრდა სახალხო მეურნეობაში

1951 წელს განხორციელებულია ფართო სამშენებლო პროგრამა. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ გასულ წელს 112 პროცენტი შეადგინა 1950 წელთან შედარებით. ელექტროსადგურების მშენებლობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ შეადგინა 140 პროცენტი 1950 წელთან შედარებით, შავ და ფერად მეტალურგიაში — 120 პროცენტი, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობაში — 112 პროცენტი, მანქანათმშენებლობაში — 110 პროცენტი, საშენ მასალათა მრეწველობაში—135 პროცენტი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 106 პროცენტი, ტრანსპორტზე — 103 პროცენტი, საბინაო მშენებლობაში — 120 პროცენტი.

წარმატებით არის შესრულებული ვოლგაზე, დონსა და დნეპრზე დიდ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის, აგრეთვე თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის 1951 წლისათვის დაწესებული საგეგმო დავალებანი.

სამშენებლო ორგანიზაციებმა 1951 წელს მიიღეს დიდძალი მაღალი წარმადობის მანქანა და მექანიზმი. ექსკავატორების არსებული პარკი 1950 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის 40 პროცენტით, სკრეპერებისა — 30 და მეტი პროცენტით და ბულდოზერებისა — 80 და მეტი პროცენტით, ბევრად გადიდდა აგრეთვე სხვა სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების პარკი. მშენებლობებზე სულ უფრო ფართოდ იყენებენ სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას. გაუმჯობესდა სამენი მასალებით მომარაგება.

1951 წელს სამშენებლო ორგანიზაციებმა 1950 წელთან შედარებით შეამცირეს მშენებლობის ღირებულება და ვადები. მაგრამ ბევრმა ორგანიზაციამ სრულად ვერ უზრუნველყო მშენებლობის ღირებულების შემცირების სახელმწიფო გეგმით დაწესებული დავალების შესრულება.

სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით 1951 წელს ააგეს 27 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, სოფელ ადგილებში აგებულია 400 ათასამდე საცხოვრებელი სახლი.

VII

საქონელბრუნვის გაშლა

1951 წელს გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარება. იმ ახალ წარმატებებთან დაკავშირებით, რომლებიც 1950 წელს მიღწეულ იქნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში, მთავრობამ 1951 წლის 1 მარტიდან განახორციელა მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალა—საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ სათვალავით მეოთხე — შემცირება. ფასების ახალმა შემცირებამ გამოიწვია საბჭოთა მანეთის კიდევ უფრო განმტკიცება, მისი მყიდველობითი უნარის გადიდება და მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვის შემდგომი ზრდა.

1951 წელს **სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის** ხაზით მოსახლეობას საქონელი შესადარ ფასებში მიეყიდა 15 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს. ამასთან ცალკეული საქონლის გაყიდვა გადიდდა: ხორცისა — 32 პროცენტით, ძეხვეულისა — 29 პროცენტით, თევზის პროდუქტებისა—14 პროცენტით, ერბოკარაქის — 10 პროცენტით, მცენარეული საქმელი ზეთისა — 40 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა—35 პროცენტით, კვერცხისა—20 პროცენტით, შაქრისა — 29 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 13 პროცენტით, ჩაისა — 29 პროცენტით, ხილისა — 33 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა — 18 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა—26 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა — 14 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 11 პროცენტით, ავეჯისა — 50 პროცენტით, საშენი მასალებისა მოსახლეობისათვის — 45 პროცენტით, სარეცხი და ხელის საპნისა — 13 პროცენტით, რადიომიმღებებისა — 26 პროცენტით, საათებისა — 15 პროცენტით, საკერავი მანქანებისა—29 პროცენტით, ფოტოაპარატებისა — 38 პროცენტით, ველოსიპედებისა — 86 პროცენტით. რამდენჯერმე გადიდდა მაცივრების, სამრეცხაო მანქანებისა და მტვერსასრუტების მიყიდვა.

გაფართოვდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო ქსელი. გასულ წელს გაიხსნა 8 ათასამდე ახალი მაღაზია.

1951 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა მოსახლეობისათვის **საკოლმეურნეო ბაზრებში** სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით ფქვილის, ბურღულის, ქონის, ფრინველის, კვერცხის, ხილისა და თაფლის მიყიდვა.

VIII

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება და შრომის ნაყოფიერების ზრდა

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1951 წლის დამლევისათვის შეადგენდა 40,8 მილიონ კაცს და 1950 წლის დამლევთან შედარებით მეტი იყო ერთ მილიონ 600 ათასით. მრეწველობაში, სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი წლის მანძილზე გადიდდა ერთ მილიონ ორასა ორმოცდაათი ათასით, სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ და სამკურნალო დაწესებულებებში — თითქმის ორასა ორმოცდაათი ათასით, ვაჭრობასა და საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში — ასი ათასით და მეტით.

1951 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა არა ყოფილა.

გასულ წელს სახელოსნო, სარკინიგზო, სამთო-სამრეწველო სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები და სამთო-სამრეწველო სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე სამუშაოდ გაიგზავნა 365 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწაფეობის გზით და კურსებზე 1951 წელს კვალიფიკაცია აიმაღლა და სწავლება გაიარა 7 მილიონმა მუშა-მოსამსახურემ.

მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1951 წელს 1950 წელთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა, მათ შორის მანქანათმშენებლობაში — 14 პროცენტით, შავ მეტალურგიაში — 9 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 6 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 8 პროცენტით, ნავთის მრეწველობაში — 9 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 9 პროცენტით. მუშების შრომის ნაყოფიერება მშენებლობაზე 1951 წელს 1950 წელთან შედარებით 9,5 პროცენტით გადიდდა.

IX.

კულტურული მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა და ქალაქების კეთილმოწყობა

1951 წელს მიღწეულია შემდგომი წარმატებანი სოციალისტური კულტურის ყველა დარგში. მოსწავლეთა რიცხვი სსრ კავშირში, ყველა სახის სწავლების ჩათვლით, გასულ წელს 57 მილიონს შეადგენდა.

შვიდწლიანი და საშუალო სკოლების რაოდენობა ერთი წლის მანძილზე თითქმის 5 ათასით გადიდდა. ამ სკოლების 5-10 კლასებში მოსწავლეთა რიცხვი 2 მილიონ 500 ათასით გადიდდა.

1951 წელს 887 უმაღლეს სასწავლებელში, დაუსწრებელთა ჩათვლით, სწავლობდა 1.356 ათასი სტუდენტი, რაც 108 ათასით მეტია, ვიდრე 1950 წელს იყო. 3.543 ტექნიკუმსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებელში სწავლობდა 1.384 ათასი კაცი, რაც 86 ათასით მეტია, ვიდრე 1950 წელს იყო.

1951 წელს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 201 ათასი და ტექნიკუმებმა 262 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი.

იმ სპეციალისტთა საერთო რიცხვი, რომელთაც დამთავრებული უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება აქვთ მიღებული და სახალხო მეურნეობაში მუშაობენ, 1951 წელს 8 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს.

1951 წელს უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში სამეცნიერო მუშაობისათვის ემზადებოდა 24 ათასზე მეტი ასპირანტი.

მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის 1951 წელს სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა 2.694 მეცნიერს, ინჟინერს, აგრონომს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკს, მუშასა და სოფლის მეურნეობის მოწინავეს.

1951 წელს ჩვენს ქვეყანაში იყო ყველა სახის 350 ათასზე მეტი ბიბლიოთეკა, რომლებიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაშია. ამ ბიბლიოთეკებს ჰქონდათ 700 მილიონზე მეტი ეგზემპლარი წიგნი.

კინოდანადგართა რაოდენობა 1951 წელს გასულ წელთან შედარებით 4 ათასით გადიდდა. თეატრებსა და კინოებში 1951 წელს 12 პროცენტით მეტი მაყურებელი იყო, ვიდრე 1950 წელს.

1951 წლის ზაფხულში 5 მილიონზე მეტი ბავშვი და მოზარდი ისვენებდა პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა სანატორიუმებში, საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში და მთელი ზაფხულის პერიოდში ორგანიზებულად მიჰყვებოდა საგარაკო ადგილებში საბავშვო ბაღებს, საბავშვო სახლებსა და საბავშვო ბაგებს.

1951 წელს შემდგომ გაფართოვდა საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, დისპანსერებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების, აგრეთვე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. საავადმყოფოებსა და სამშობიარო სახლებში საწოლთა რაოდენობა 1950 წელთან შედარებით თითქმის 50 ათასით გადიდდა. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ადგილთა რაოდენობა 18 ათასით გაიზარდა. ექიმთა რიცხვი 1951 წელს 1950 წელთან შედარებით 6 პროცენტით და მეტით გადიდდა.

მედიკამენტების, სამედიცინო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის წარმოება 1950 წელთან შედარებით 36 პროცენტით გადიდდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა სამედიცინო დაწესებულებათა მომარაგება და აღჭურვა მედიკამენტებით, უახლესი აპარატურით, სალაბორატორიო მოწყობილობით და სამედიცინო ინსტრუმენტებით.

1951 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, დიდი მუშაობა სრულდებოდა კომუნალური საწარმოების მშენებლობისა და ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის, წყალსადენებისა და კანალიზაციის მშენებლობის, ტრამვაისა და ტროლეიბუსის მოძრაობის გაფართოებისათვის, აგრეთვე ბინების გაზიფიკაციისა და თბოფიკაციისათვის, ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გამწვანების, მოკირწყვლისა და მოასფალტების, პარკების, სკვერებისა და ბულვარების მოწყობისათვის.

X

ნაციონალური შემოსავლისა და მოსახლეობის შემოსავლის ზრდა

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1951 წელს 1950 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, 12 პროცენტით გადიდდა.

საბჭოთა კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი ეკუთვნის მშრომელებს. ამასთან სსრ კავშირის მშრომელებმა თავიანთი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიიღეს, ისევე როგორც გასულ წელს, ნაციონალური შემოსავლის სამ მეოთხედამდე, ნაციონალური შემოსავლის დანარჩენი ნაწილი კი დარჩა სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების განკარგულებაში სოციალისტური წარმოების გასაფართოებლად და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

ნაციონალური შემოსავლის ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობა და უზრუნველგვეყო ქალაქად და სოფლად სოციალისტური წარმოების შემდგომი გაფართოება.

სსრ კავშირის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიხატა მუშებისა და მოსამსახურეების ფულადი და რეალური ხელფასის ზრდით და როგორც საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეურნეობიდან, ისე საკარმიდამო და პირადი მეურნეობიდან გლეხების შემოსავლის გადიდებით.

გარდა ამისა, მოსახლეობამ 1951 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო დახმარება მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის ხაზით, პენსიები სოციალური უზრუნველყოფის ხაზით, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებათა საგზურები უფასოდ და შეღავათიან ფასად, დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, მოსწავლეთა სტიპენდიები და მთელი რიგი სხვა დახმარება და შეღავათები. შემდეგ, ყველა მუშა-მოსამსახურემ, ესე იგი დაახლოებით 41 მილიონმა კაცმა მიიღო სულ მცირე ორი კვირის შვებულება ხელფასის შენარჩუნებით, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშაკებმა უფრო ხანგრძლივი ვადით. 1951 წელს მოსახლეობამ აღნიშნული დახმარებისა და შეღავათების სახით სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო 125 მილიარდი მანეთი.

მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების, მუშა-მოსამსახურეთა ფულადი ხელფასის ზრდის, გლეხთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდებისა და მოსახლეობისათვის სახელმწიფოს ხარჯზე დახმარებისა და შეღავათების გადიდების შედეგად მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი და გლეხთა შემოსავალი 1951 წელს, შესადარ ფასებში, 1950 წელთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებისადმი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ 1951 წლის 24 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის ელჩს ბ-ნ გასკოინს, საფრანგეთის ელჩს ბ-ნ შატენიოს, თურქეთის ელჩს ბ-ნ გეკერს და ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულს ბ-ნ კამინგს გადასცა ნოტები ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობების წინადადებათა საკითხებზე. ამ ნოტებში საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობების გეგმები ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის შესახებ სხვა არა არის რა, თუ არა ცდა, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები ჩაითრიონ სამხედრო ლონისძიებებში, რომლებსაც აგრესიული ატლანტიკის ბლოკი ახორციელებს.

1951 წლის 18 და 19 დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებისაგან მიიღო საპასუხო ნოტები, რომლებშიც, ფაქტების საწინააღმდეგოდ, ეს მთავრობები ცდილობდნენ უარეყოთ აგრესიული ხასიათი თავიანთი გეგმებისა, რომლებიც დაკავშირებულია „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნასთან, და ამასთან მიმართავდნენ უხეშ ჭორებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

1952 წლის 28 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ საბჭოთა მთავრობას დავალებით ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულს ბ-ნ კამინგს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისთვის გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ეგრეთწოდებული „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის გეგმების საკითხზე საბჭოთა მთავრობის 24 ნოემბრის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1951 წლის 19 დეკემბრის პასუხთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობა აცხადებს შემდეგს:

საბჭოთა მთავრობამ თავის ნოტაში უკვე აღნიშნა, რომ შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის გეგმები ნავარაუდევია ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, ერაყის, საუდის არაბეთის, იემენის, ისრაელისა და ტრანსიორდანიის ჩაბმისათვის აგრესიული ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ლონისძიებებში და აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიების იმ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების პლაცდარმად გადაქცევისათვის, რომლებიც სათავეში უდგანან ატლანტიკის ბლოკს. განხორციელება ამ გეგმებისა, რომლებიც გამოხატავენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისადმი, ნიშნავს ახალი მსოფლიო ომის მზადებაში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ჩართვას. ასე გაიგეს ეს თვით ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.

სახელმწიფოთა ინგლის-ამერიკის დაჯგუფების გეგმებით შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნა წარმოადგენს მხოლოდ ამ აგრესიული გეგმების შემდგომ განვითარებას. ევროპაში ამერიკელი გენერლის ეიზენჰაუერის მეთაურობით უკვე შეიქმნა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის შტაბი. ამ ბლოკისათვის აღადგენენ გერმანიის არმიას ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით. შორეულ აღმოსავლეთში იაპონელ მილიტარისტებთან კავშირით მომზადებულია შექმნა ამერიკის სარდლობისა, რომელიც აგრეთვე განკუთვნილია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მიზნების განხორციელებისათვის. შუა აღმოსავლეთის სარდლობის ორგანიზაცია და ამასთან გათვალისწინებული ახალი სამხედრო ბაზების შექმნა შუა აღმოსავლეთში მჭიდროდ დაკავშირებულია ევროპასა და აზიაში სახელმწიფოთა ინგლის-ამერიკის დაჯგუფების აგრესიულ გეგმებთან და ხელს უნდა შეიწყოს—განსაკუთრებით ატლანტიკის ბლოკში თურქეთისა და საბერძნეთის შესვლის შემდეგ — საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების გარემოცვის მიზნებს, წარმოადგენს რა მესამე მსოფლიო ომის მომზადების გეგმების შემდგომ გაფართოებას.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1951 წლის 19 დეკემბრის ნოტაში არის ცდა შუა აღმოსავლეთის სარდლობის ორგანიზაციის მიზნები ახსნან, ჯერ-ერთი, იმით, რომ საჭიროა „შეიქმნას შუა აღმოსავლეთის რაიონის უშიშროების უზრუნველმყოფელი ნებაყოფლობითი ერთობლივი თავდაცვის ორგანიზაცია“ და, მეორეც, „ამ რაიონის ქვეყნებისათვის მათი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად დახმარების გაწევის“ მოტივებით. ამ ახსნაგანმარტების ყალბი ხასიათი საკმაოდ აშკარაა.

შუა აღმოსავლეთის სარდლობა სრულიადაც არ იქმნება როგორც „ნებაყოფლობითი ერთობლივი თავდაცვის ორგანიზაცია“, არამედ შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს ამ ორგანიზაციას პირდაპირ ახვევენ თავს ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და თურქეთი. ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს არავინ არ ემუქრება, და მათი ინიციატივით როდია გამოწვეული წინადადება შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის შესახებ. პირიქით, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ძლიერდება სეპარატისტული შიში და ეს ქვეყნები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ისეთ სახელმწიფოთა აგრესიული დაჯგუფების სამხედრო ლონისძიებებში მათი ჩათრევის გეგმებს, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და თურქეთი.

შუა აღმოსავლეთის სარდლობას შექმნას საერთო არაფერი აქვს „ამ რაიონის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევასთან მათი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განმტკიცების მიზნით“. საკმარისია აღინიშნოს, რომ შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ ძლიერია და მრავალია კოლონიური რეჟიმის შედეგები, ისიც კი, რომ ზოგიერთი ეს ქვეყანა ახლაც სამხედრო „უპაციის პირობებში იმყოფება, რაც ხოციელდება აგრესიული სახელმწიფოების მიერ ამ სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტის დარღვევის გზით. ნაცვლად იმისა, რომ უცხოელთა მთელი ჯარები გაყვანილ იქნან ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიიდან და ამით ამ ქვეყნებს მიენიჭოთ ნამდვილი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, შუა აღმოსავლეთის სარდლობის ინგლის-ამერიკის გეგმებით გათვალისწინებულია არა მარტო ის, რომ აქ დატოვებულ იქნან ინგლისის ჯარები, არამედ ისიც, რომ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე შეიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, თურქეთის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები. საჭირო არ არის შევეხოთ იმას, რომ ეს გამოიწვევს ეკონომიური ურთიერთობის ჩაშლას ბევრ სახელმწიფოსთან, რომლებთან ვაჭრობითაც დაინტერესებული არიან შუა აღმოსავლეთის ქვეყნები. ასეთ ვითარებაში მხოლოდ დაცინვა იქნება ლაპარაკი ამ რაიონის ქვეყნებისათვის „მათი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით“ „დახმარების“ გაწევაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 19 დეკემბრის ნოტაში ნათქვამია, თითქოს შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნა ემყარება თავდაცვის უფლებას, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით. მაგრამ ასეთი დამოწმება აშკარად უსაფუძვლოა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება სახელმწიფოთა თავდაცვის უფლებას ითვალისწინებს იმ შემთხვევისათვის, „თუ შეიარაღებული თავდასხმა მოხდება ორგანიზაციის წევრზე“. რამდენადაც ახლო და შუა აღმოსავლეთის არც ერთ სახელმწიფოს თავს არ დასხმიან, თუ არ ვილაპარაკებთ ეგვიპტეში ინგლისის ჯარების მოქმედებაზე, რომლებსაც ხელს უწყობენ ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დამოწმება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ შეეფასოთო, როგორც ცდა — მიჩქმალონ ნამდვილი მიზნები, რომლებსაც ისახავს შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნა. ნამდვილად კი შუა აღმოსავლეთის სარდლობის ორგანიზაციის ინგლის-ამერიკის გეგმები უხეშად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების მიზნებს, და შემთხვევითი როდია, რომ შუა აღმოსავლეთის სარდლობა იქმნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ზურგს უკან ისე, როგორც შექმნა თვით ატლანტიკის ბლოკი, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ხსენებული სარდლობა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აღარ სჯერდება იმას, რომ თავისი შეიარაღებული ძალები ჰყავს ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, ეწევა აგრესიულ ომს კორეაში, მიიტაცა ჩინეთის კუნძული ტაივანი, იჭრება ბირმაში და სხვ. ახლა აგრესიული გეგმები გავრცელდა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებზეც, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს დაშორებული არიან მრავალი ათასი კილომეტრით. და ყოველივე ამას ნიღბავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არასოდეს არ მოუწონებია ამერიკის შეერთებული შტატების და სახელმწიფოთა ატლანტიკის ბლოკის ეს დამპყრობლური გეგმები.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ შუა აღმოსავლეთის სარდლობის ორგანიზატორები ისეთ მიზნებს ისახავენ, რომლებსაც საერთო არ აქვს რა არც ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნული ინტერესებისათვის რაიმე ზრუნვასთან, არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობისმოყვარულ მიზნებთან. ეს აგრეთვე ცხადყოფს, რომ სახელმწიფოთა ინგლის-ამერიკის დაჯგუფებას შუა აღმოსავლეთის ქვეყნები ჯერ კიდევ მიაჩნია თავის კოლონიებად ან ნახევრადკოლონიებად და, გარდა ამისა, თავისი აგრესიული გეგმების იარაღად. ამას აგრეთვე ადასტურებს პრეზიდენტ ტრუმენისა და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის განცხადება მათი მოლაპარაკების შესახებ მიმდინარე წლის იანვარში ვაშინგტონში. ამ განცხადებაში შუა აღმოსავლეთის სარდლობის შესახებ პირდაპირ ნათქვამია: „ჩვენი მიზნების მიღწევისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ უახლოეს ხანში შეიქმნას სამოკავშირეო სარდლობა შუა აღმოსავლეთში“.

1950 წლის მაისში გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების განცხადება არაბული ქვეყნებისა და ისრაელისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ იარაღითა და საომარი მასალით ამ ქვეყნების მომარაგების გეგმების შესახებ. სამი მთავრობის ეს განცხადება, რომელიც მოწმობდა, რომ ამ რაიონში გავლენის სფეროები გაიყვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა, ცხადყოფდა, რომ სამ სახელმწიფოს შუა აღმოსავლეთის ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა, მიაჩნია თავიანთი სამხედრო გეგმების იარაღად, ამასთან სამი სახელმწიფოს განცხადებაში აღნიშნული იყო რომ მათ განზრახული აქვთ იმოქმედონ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ“, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევენ. ამ იმპერიალისტური გეგმების შემღგომ განვითარებას წარმოადგენს შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნა, ამასთან ახლა კიდევ უფრო უხეშად ირღვევა როგორც შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ინტერესები, ისე ძირითადი მიზნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, რომელიც მშვიდობისა და ეროვნული თანასწორუფლებიანობის ინტერესებს უნდა იცავდეს. აღნიშნული სამი სახელმწიფო თურქეთის მონაწილეობით აღარ სჯერდება იმას, რომ შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყანა ჯერ კიდევ იმყოფება გარკვეულ დიდ სახელმწიფოთაგან ნახევრადკოლონიურ დამოკიდებულებაში. ხსენებული სახელმწიფოები ცდილობენ დაუმორჩილონ ეს ქვეყნები აგრეთვე თავიანთ აჰანტიურისტულ მიზნებს ახალი მსოფლიო ომის მომზადებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის ნოტაში მიმართავს ცილისმწამებლურ ჭორებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ, ლაპარაკობს, რომ სსრ კავშირს რაღაც გეგმები აქვს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არც იმას ერიდება, რომ გამოიყენოს ჰიტლერის დიპლომატიური უწყების დიდი ხნის წინათ მხილებული ნაყალბევი. ასეთი ხერხებით არათუ დაამტკიცებენ რამეს, არამედ იმასაც ვერ მოახერხებენ, რომ საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ჩამოაშორონ შუა აღმოსავლეთში ატლანტიკის ბლოკის აგრესიულ გეგმებს.

ხელმძღვანელობდა რა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებით, საბჭოთა მთავრობამ თავის 1951 წლის 24 ნოემბრის ნოტით შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ იგი გვერდს ვერ აუვლის მათს ახალ აგრესიულ გეგმებს, რომლებიც გამოიხატება შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნით საბჭოთა კავშირის საზღვრების ახლო მდებარე რაიონში. მშვიდობის დაცვის იმავე ინტერესებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა მთავრობა შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი მიმართვაში, როცა გააფრთხილა ისინი, თუ რა საშიში აჰანტიურისტული მიზნებით იქმნება შუა აღმოსავლეთის სარდლობა, რომლის საშუალებითაც სურთ მესამე მსოფლიო ომის მომზადებაში ჩაითრიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ახალი მსოფლიო ომის მომზადების აგრესიულ გეგმებს საბჭოთა მთავრობა უპირდაპირებს სსრ კავშირის ხალხთა ურყევ მისწრაფებას მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისადმი, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებებს.

მიაჩნია რა შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის გეგმები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ახალ ნაბიჯებად მესამე მსოფლიო ომის მომზადებაში, საბჭოთა მთავრობა ადასტურებს თავის პოზიციას ამ აგრესიული გეგმების მიმართ, პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია 1951 წლის 24 ნოემბრის ნოტაში, და კვლავ აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა იმ მდგომარეობისათვის, რაც შეიძლება შეიქმნას ხსენებული გეგმების განხორციელების შედეგად, ეკისრებათ შეერთებული შტატების მთავრობას და ამ გეგმების სხვა ინიციატორებს“.

შესაბამისი ნოტები გადაეცათ აგრეთვე დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თურქეთის ელჩებს.

მარშალ ჩოიბალსანის კუბოსთან

მოსკოვის მშრომელები ეთხოვებიან მონღოლი ხალხის ბელადს

28 იანვარს მოსკოვის მშრომელები ეთხოვებოდნენ მონღოლი ხალხის ბელადს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პოლიტბიუროს წევრს, საბჭოთა კავშირის ერთგულ მეგობარს მარშალ ჩოიბალსანს.

დღის 12 საათზე დაიწყო შესვლა კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც მაღალ კვარცხლბეკზე ასვენია განსვენებულის ცხედარი. კუბო ჩაფლულია მწვანესა და ცოცხალ ყვავილებში. გვერდით დახრილია საბჭოთა კავშირის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დროშები.

სვეტებიანი დარბაზი სამგლოვიაროდ არის მორთული. კვარცხლბეკთან და კედლებთან მრავალი გვირგვინი. ერთ მათგანზე წარწერაა: „მონღოლი ხალხის გამოჩენილ ბელადს მარშალ ჩოიბალსანს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან“. იქვეა გვირგვინები, რომლებზეც წარწერილია: „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დაუცხრომელ მშენებელს მარშალ ჩოიბალსანს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან“, „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, საბჭოთა კავშირის დიდ მეგობარს მარშალ ჩოიბალსანს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან“.

აი გვირგვინი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან. მის ლენტს აწერია: „ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დამაარსებელს, მონღოლი ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს მარშალ ჩოიბალსანს“.

სვეტებიან დარბაზში სამგლოვიარო მელოდიები გაისმის. ორკესტრები ასრულებენ ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის, შოპენის ნაწარმოებებს...

ამხანაგ ჩოიბალსანის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი სწრაფად მოედო მოსკოვს. მონღოლი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დიდ მებრძოლთან, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ორგანიზატორთან გამოსათხოვებლად, რომლის ხელმძღვანელობითაც მონღოლმა ხალხმა დაამხო ფეოდალთა და უცხოელ კოლონიზატორთა ხელისუფლება, მოვიდა მრავალი ათეული ათასი მშრომელი. ნელი ნაბიჯით ჩაუარეს საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის მარშალ ჩოიბალსანის კუბოს მოსკოვის საწარმოთა მუშამოსამსახურეებმა, საბჭოთა ინტელიგენციამ, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა და საბჭოთა არმიის მეომრებმა და მწუხარე დუმილით დასცქეროდნენ ძვირფას სახეს.

ყოველ ხუთ წუთში იცვლება განსვენებულის კუბოსთან სპატიო ყარაული. სამგლოვიაროდ ვახტს ეწევიან მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები.

სპატიო ყარაულში იდგნენ ამხანაგები: ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი ა. მ. ვასილევსკი, გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშჩევი, სამინარო ფლოტის მინისტრი ნ. ა. შუმკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, საბჭოთა კავშირის მარშლები ს. მ. ბუდიონი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ლ. ა. გოვოროვი, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი ს. ი. ბოგდანოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. ფასნოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ი. რუმიანცევი და სხვები.

კუბოსთან არიან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე შარანსკი, განსვენებულის მეუღლე გუნტეგმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იდამბაი, საელჩოს თანამშრომლები. მათ მწუხარებას, მთელი მონღოლი ხალხის მწუხარებას იზიარებს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი. მარშალი ჩოიბალსანი საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, მგზნებარე რევოლუციონერი, მშრომელთა ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იყო.

მთელი დღის განმავლობაში დაუსრულებელ ნაკადად მოდიოდნენ კუბოსთან მშრომელები. მათ შორის იყვნენ მოსკოვის ყველა რაიონის წარმომადგენლები, ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. მოდიან მეტალურგები და ფეიქრები, ავტომობილმშენებლები, რკინიგზელები, მასწავლებლები, ექიმები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი, სამინისტროების წარმომადგენლები. დარბაზში შემოიქცევ სულ ახალ-ახალი გვირგვინები. მათ შორის არის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის სამხედრო სამინისტროს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს, მოსკოვის საბჭოს გვირგვინები.

დარბაზში შემოდიან მოსკოვის 610-ე სკოლის პიონერები. მათაც დიდი გვირგვინით შეამკეს მარშალ ჩოიბალსანის კუბო.

კუბოს კვარცხლბეკთან არის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, მოსკოვში მოსწავლე მონღოლი სტუდენტების გვირგვინები.

განსვენებულს წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად მოვიდნენ მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების წარმომადგენლები. კუბო შემკულია გვირგვინებით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობების, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, უნგრეთის მშრომელთა პარტიის, რუმინეთის მუშათა პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოებისა და მისიებისაგან.

მარშალი ჩოიბალსანი მონღოლი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის დიდი მებრძოლი იყო. მისი პოპულარობა დიდია ყველა ქვეყნის პროგრესულ კაცობრიობაში.

მოსკოვში უკვე დიდი ხანია დაღამდა, მაგრამ კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში კვლავ მოდიოდნენ დედაქალაქის მშრომელები. რამდენიმე კილომეტრზე გაჭიმულ ნაკადად მოდიოდნენ მოსკოვის მშრომელები სვეტებიან დარბაზში, რათა უკანასკნელად გამოთხოვებოდნენ მონღოლი ხალხის დიდ ბელადს, ჩვენი ქვეყნის ერთგულ მეგობარს. სვეტებიან დარბაზში შესვლა შეწყდა მხოლოდ შუაღამისას. (საკდესი).

მონღოლი ხალხი გლოვობს მძიმე დანაკლისის გამო

ულან-ბატორი, 28 იანვარი. (საკდესი). მთელ მონღოლი ხალხში დიდი მწუხარება გამოიწვია მისი ერთგული შვილის, მისი საყვარელი ბელადის მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვლებამ.

დიდი გლოვაა რესპუბლიკის დედაქალაქში—ულან-ბატორში, აიმაკთა და სომონთა ცენტრებში, არატთა სადგომებსა და მრავალ მუშათა დაბაში. მთელი ხალხი გლოვობს მძიმე დანაკლისის გამო. ხალხი გროვდებოდა რეპროდუქტორებთან, როცა ადგილობრივმა რადიომ მრავალჯერ გადასცა მონღოდეფის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობა მარშალ ჩოიბალსანის გარდაცვლების შესახებ, აგრეთვე მინისტრთა საბჭოს დადგენილება ჩოიბალსანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მთელ მონღოლეთში საყოველთაო-სახალხო გლოვის გამოცხადების შესახებ. ყველანი მწუხარების მდუმარებით, გულის ტკივილითა და თვალცრემლიანნი ისმენენ ამ მძიმე ცნობას. რადიოცნობებს შორის შესვენებისას ეღერს სამგლოვიარო მელოდია, გაისმის „ინტერნაციონალის“ დიდებული მუსიკა.

ულან-ბატორის ცენტრალურ მოედანზე საღამოს აინთო პროეექტორთა ნათურები. მათი სხივები აშუქებენ მთავრობის სახლისა და სახელმწიფო თეატრის ფასადებზე გამოფენილ სამგლოვიარო კრეპით შემოვლებულ ჩოიბალსანის დიდ პორტრეტებს.

დედაქალაქის საწარმოებში გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგები. ორი ათას ხუთასზე მეტი კაცი შეიკრიბა ულან-ბატორის მარშალ ჩოიბალსანის სახელობის სამრეწველო კომბინატის ფეხსაცმლის ფაბრიკის ერთ-ერთ საამქროში. სამგლოვიარო დუმილით ისმენენ მიტინგის მონაწილენი მთავრობის ცნობას მონღოლი ხალხის ერთგული შვილისა და საყვარელი ბელადის გარდაცვლების შესახებ. მიტინგის მონაწილეთა სიტყვები გამსჭვალულია მონღოლი ხალხის მხურვალე სიყვარულითა და დიდი ერთგულებით თავისი პარტიისა და თავისი ბელადისადმი. ეს სიტყვები გაისმის როგორც დიდი სახალხო ფიცი—კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმან თავიანთი რიგები პარტიის გარშემო და თავდადებით იბრძოლონ, როგორც იბრძოდა ჩოიბალსანი, მონღოლეთში სოციალიზმის ამენების დიადი საქმისათვის, ყოველი ღონით განამტკიცონ და განავითარონ მონღოლი და საბჭოთა ხალხების სამუდამო, ურღვევი, ძმური მეგობრობა, რისთვისაც ასე ზრუნავდა ამხანაგი ჩოიბალსანი.

— დიდია ჩვენი დანაკლისის სიმძიმე,—აცხადებს მიტინგზე სამრეწველო კომბინატის დამკვრელი დორჟინ სამბუ,—მაგრამ ჩვენი ძვირფასი ბელადის საქმე მუდამ იცოცხლებს. ჩვენ, მისი მოწაფეები, ფიცსა ვდებთ მუდამ ვიყოთ ერთგული სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის მიერ შექმნილი ჩვენი პარტიის საქმისა, და მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას.

1.000-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი დედაქალაქის მესამე ხორონის (ხორონი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულია—**რედ.**) კლუბში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე.

„მონღოლმა ხალხმა,—ამბობს მიტინგის მრწამწილე არატი ჩოინხორი, — უსაზღვროდ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი ბელადი, ჩვენი ჩოიბალსანი. ამ მძიმე სამწუხარო ჟამს ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებთ პარტიისა და მთავრობის გარშემო და მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი ძვირფასი ბელადის ანდერძი, დაუღალავად განვამტკიცოთ ჩვენი სახალხო-რევოლუციური წყობილება, თავდადებით ვიშრომოთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის და საბოლოო გამარჯვებამდე მიეიყვანოთ დიადი საქმე, რომლისთვის ბრძოლასაც მოახმარა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე ამხანაგმა ჩოიბალსანმა“.

სამგლოვიარო მიტინგები გაიმართა აგრეთვე ულან-ბატორის მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

მარშალი ჩოიბალსანი

ულან-ბატორი, 28 იანვარი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნებულია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი შემდეგი ნეკროლოგი, სათაურით: „ხორლოგინ ჩოიბალსანი“.

26 იანვარს ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ხორლოგინ ჩოიბალსანი — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის დეპუტატი, ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის ბელადი, საბჭოთა კავშირის — ჩვენი მხსნელის, დამცველისა და ბურჯის ერთგული მეგობარი.

ხორლოგინ ჩოიბალსანი დაიბადა 1895 წლის 8 თებერვალს ღარიბი არატის ოჯახში. ჩოიბალსანმა, რომელმაც სიყრმიდანვე გაიარა ცხოვრების მკაცრი სკოლა, ნახა და განიცადა უცხოელ დამპყრობელთა მძიმე, აუტანელი ჩაგვრა და თარეში და უსასტიკესი ექსპლოატაცია ფეოდალთა მხრივ, მტკიცედ გადაწყვიტა — მთელი თავისი სიცოცხლე მოეხმარებინა უცხოელი დამპყრობლებისა და ფეოდალების უღლისაგან თავისი ხალხის განთავისუფლების საქმისთვის.

1918 წლის დამლევს ამხანაგმა ჩოიბალსანმა მოაწყო არალეგალური რევოლუციური წრე, რომელიც მალე სუხე-ბატორის არალეგალურ რევოლუციურ წრეს შეუერთდა. ამ დროიდან დაიწყო სუხე-ბატორისა და ჩოიბალსანის ერთობლივი რევოლუციური მოღვაწეობა და დიდი პირადი მეგობრობა.

1921 წელს სუხე-ბატორი და ჩოიბალსანი ქმნიან მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას, რომელიც სათავეში ჩაუდგა მონღოლი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით, სუხე-ბატორის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

გენერალური ასამბლეის დღის პლენარული სხდომა

პარიზი, 26 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღეანდელ დღის პლენარულ სხდომაზე განხილულ იქნა რეზოლუციები, რომლებიც ეკონომიური და ფინანსური საკითხთა კომიტეტმა მიიღო მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ეკონომიური და სოციალური საბჭოს მოხსენების მეორე თავის გამო. ამ საკითხზე პლენუმს წარედგინა ოთხი რეზოლუცია, რომელთაგან არც ერთი არ შეიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, რომელიც მკვეთრად გაუარესდა გამლეებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით, რაც ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში ხორციელდება. რეზოლუციის პირველი პროექტისადმი, რომელიც ეხება ამ შემთხვევებს, როცა მოსახლეობა შიმშილით იტანჯება სხვადასხვა სტიქიური უბედურების შედეგად, საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა შესწორებანი და მოითხოვა განხორციელდეს ღონისძიებანი გამლეებული შეიარაღების შესაწყვეტად, რაც დამლუბველ გავლენას ახდენს მშრომელი მასების არსებობის პირობებზე, და ნეღლეულისა და სურსათის მსოფლიო რესურსები გამოყენებულ იქნას მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

საბჭოთა წინადადების დასაცავად გამოვიდა უკრაინის წარმომადგენელი ტატანკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამლეებულ შეიარაღებას მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხმარდება უდიდესი რესურსები და მცირდება სამოქალაქო მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლის წარმოება. საბჭოთა დელეგაციის მიერ შემოტანილ შესწორებათა მიღება, თქვა მან, გამოიწვევს კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებას, წარმებლაც შეეძლოთ გაათმაჯობესონ მოსახლეობის მომარაგება და მნიშვნელოვანწილად შეანელონ მთელ რიგ ქვეყნებში სურსათის ნაკლებობა.

ბელორუსიის წარმომადგენელმა გურინოვიჩმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომელნიც მოწმობენ რომ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების მიერ დიდი სამხედრო მარაგის შექმნა აუარესებს მოსახლეობის მდგომარეობას. სურსათი ფუჭდება საწყობებში, ხოლო მილიონობით ადამიანი შიმშილობს. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ გაფუჭებული პროდუქტები გაასაღონ იმ ქვეყნებში, რომელსაც სურსათი აკლიათ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ინგლისს გაიგზავნა გაფუჭებული კვერცხის ფხვნილი, ბრაზილიიდან—საკმელად უვარგისი შესქელებული რძე, ხოლო ბელგიაში—420 ათასი ტონა უვარგისი ხორბალი. გამლეებული შეიარაღების შეწყვეტა და შექმნილი სამხედრო მარაგის გამოყენება გაუმჯობესებდა მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობას, თქვა დასასრულ ბელორუსიის წარმომადგენელმა. ამიტომ ბელორუსიის დელეგაცია მხარს დაუჭერს საბჭოთა შესწორებებს.

პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმაც აზრი გამოთქვეს საბჭოთა წინადადებების სასარგებლოდ. სხვა ქვეყნების არც ერთ დელეგატს არ უცდია იმ ფაქტის უარყოფა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიური მდგომარეობა უარესდება გამლეებული შეიარაღების შედეგად, რასაც ისინი ახორციელებენ. მარტო ჩილის დელეგატმა, რომელმაც ეს ფაქტი აღიარა, კვლავ დაიმოწმა შეიარაღების პოლიტიკის გასამართლებლად ამერიკელთა ყალბი თეზისი „თავდაცვის“ აუცილებლობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა შესწორებანი უარყოფილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილი უმეტესობის ხმებით, რომელმაც დაამტკიცა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია.

პლენუმმა დაამტკიცა აგრეთვე რეზოლუცია რეგიონალური ეკონომიური კომისიების საქმიანობის განვრცობის შესახებ. შემდეგ კენჭი უყარეს რეზოლუციას მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ. ეს რეზოლუცია, რომელიც კომიტეტმა მიიღო, ისევე როგორც პირველი რეზოლუცია, აღნიშნავს რა მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას, არ არკვევს ამ გაუარესების ნამდვილ მიზეზებს. პლენუმს ამაგე საკითხზე წარედგინა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი. ამ დელეგაციამ მოითხოვა ანზრიცელდეს კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელი მასების არსებობის პირობების გასაუმჯობესებლად მთელ რიგ ქვეყნებში გამლეებული შეიარაღების შეწყვეტის გზით.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გ. თ. საკსინმა, დაიცვა რა ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტი, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნებში, მათ შორის ამ ბლოკის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც, ეკონომიური განვითარების პერსპექტივები 1952 წელს კიდევ უფრო უნუგეშოა იმ თავშეკავებული გამლეებული შეიარაღების გამო, რასაც ისინი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ძალების კარნახით ეწევიან. გამლეებულ შეიარაღებასთან ერთად, თქვა მან, ჩვეულებრივ დიდდება ფასები, მატულობს ინფლაცია, დიდდება გადასახადები, ხოლო ამის პარალელურად ქვეითდება რეალური ხელფასის დონე, მცირდება გლეხობის შემოსავალი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, განაგრძო საკსინმა, უნდა შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი, რაც მიმართული იქნება იმისაკენ, რომ მშრომელი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს როგორც სამრეწველო ქვეყნებში, ასე სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. სწორედ ასეთი ღონისძიებების შემუშავების შესახებ კონკრეტულ წინადადებებს ითვალისწინებს რეზოლუციის პროექტი, რომელიც გენერალური ასამბლეის განსახილველად წარადგინა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამ. საბჭოთა კავშირის დელეგაცია მთლიანად უჭერს მხარს ჩეხოსლოვაკიის ამ პროექტს, და მიიჩნია, რომ ამ რეზოლუციის მიღებით გენერალური ასამბლეა ხელს შეუწყობს მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტს დასაცავად გამოვიდა აგრეთვე პოლონეთის დელეგატი კაცაზენი, რომელმაც სხდომის მოგონა ვაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართვა მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხების შესახებ.

ეგიპტის დელეგატმა განაცხადა, რომ ისიც მხარს უჭერს ჩეხოსლოვაკიის წინადადებებს, რომელთა მიზანია მოსახლეობის ამ ნაწილის არსებობის პირობების გაუმჯობესება, რომელიც შიმშილით იტანჯება.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების დელეგაციათა ზეგავლენით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გამლეებული შეიარაღების რაიმე ხსენებასაც კი, რაც მათ გააჩაღეს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული ომის მოსამზადებლად, მიღებულ იქნა კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი. ჩეხოსლოვაკიის რეზოლუციის პროექტმა მიიღო 8 ხმა (სსრ კავშირი, უკრაინა, ბელორუსია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, სირია, ეგვიპტე, იემენი). 13 დელეგაციამ თავი შეიკავა, 32-მა წინააღმდეგ მისცა ხმა.

ინგლის-ამერიკელ კოლონიზატორთა დამარცხება

პარიზი, 27 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). 25 იანვარს სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტმა (მესამე კომიტეტი) განგრძელი დისკუსიის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებათა პაქტის პროექტში შეტანილ იქნას შუნლი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, რომლის საკითხიც განსახილველად აქვს კომიტეტს.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის დელეგაციას არაერთხელ შეუტანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინადადება ყველა ერისა და ხალხის თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „ყოველ ხალხსა და ყოველ ერს აქვს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება. სახელმწიფოებმა, რომელსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი ტერიტორიების მართვისათვის, უნდა იზელმძღვანელონ სამეურვეო ტერიტორიებისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებითა და მიზნებით და ხელი შეუწყონ ამ უფლების განხორციელებას“. მაგრამ გენერალური ასამბლეის წარსულმა სესიამ არ მიიღო ეს წინადადება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე სსრ კავშირის დელეგაცია კვლავ გამოვიდა ყველა ხალხისა და ერის თვითგამორკვევის უფლების დასაცავად. როცა მესამე კომიტეტის განსახილველად შეტანილ იქნა 13 ქვეყნის (ავღანეთის, ბირმის, ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, ირანის, ლიბანის, პაკისტანის, საუდის არაბეთის, სირიის, ფილიპინებისა და იემენის) რეზოლუციის პროექტი იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტის პროექტში შეეტანათ შუნლი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, უკრაინის, ბელორუსიისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგაციებმა პირველი დღიდანვე დაიკავეს ყველა ხალხისა და ერის დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითგამორკვევის უფლების დაცვის პრინციპული პოზიცია.

ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის მტრებმა — ინგლისელ-ამერიკელმა, ფრანგმა, ბელგიელმა და სხვა კოლონიზატორებმა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მესამე კომიტეტში თავიანთი წარმომადგენლების სახით გაიალმაჭრეს 13 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, ცდილობდნენ რა დაგსამარებინათ ეს პროექტი ყოველგვარ „შესწორებათა“ და „შენიშვნათა“ გროვაში.

სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ამხილეს ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული პოლიტიკა და მთელი დამოჯერებლობით ცხადყვეს, თუ რა უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების დამონება ამერიკელი აგრესორების მიერ, რომლებიც ვითომდა „ეროვნული განვითარების ხელშეწყობის“ ნიღბით ამ ქვეყნების ტერიტორიებზე აშენებენ ამერიკის საჰაერო ბაზებს, საჰაერო ძალებს და სხვ.

მესამე კომიტეტმა 33 ხმის უმეტესობით 9 ხმის წინააღმდეგ (ათმა თავი შეიკავა) მიიღო გადაწყვეტილება — ადამიანის უფლებათა პაქტში შეტანილ იქნას დებულება და შუნლი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტის საბოლოო ტექსტში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ცნო ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლება ადამიანის ძირითად უფლებად და რომ ამ შუნლების დარღვევა წარსულში იწვევდა სისხლისღვრასა და ომს და ეს დარღვევა მიჩნეულია მუდმივ საფრთხედ მშვიდობისათვის.

გენერალური ასამბლეა, ნათქვამია შემდეგ ამ დოკუმენტში, იდგენს — შეტანილ იქნას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტში ან ადამიანის უფლებათა პაქტებში **შუნლი ყველა ხალხისა და ერის** თვითგამორკვევის უფლების შესახებ ამ პრინციპის დასადასტურებლად, რომელიც გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში და ჩამოყალიბებულია შემდეგი სიტყვებით: „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება“.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ამ დოკუმენტს ხმა მისცეს არგენტინის, ავღანეთის, ბირმის, ბოლივიის, ბრაზილიის, ვენესუელის, ჰაიტის, გვატემალის, საბერძნეთის, დომინიკის რესპუბლიკის, ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, ირანის, ლიბერიის, ლიბანის, მექსიკის, ნიკარაგუას, პაკისტანის, საუდის არაბეთის, სირიის, ტაილანდის, ურუგვაის, ფილიპინების, ეთიოპიის, ავღანისა და სხვა დელეგატებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს, რომლებმაც ხმა მისცეს ადამიანის უფლებათა პაქტში ერთა თვითგამორკვევის უფლებათა შესახებ შუნლის შეტანის წინააღმდეგ, მიემხრო 8 დელეგაცია, მათ შორის — ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია და სხვ.

თავი შეიკავეს დანია, ისრაელი, კოლუმბია, კუბა, ნორვეგია, ჩილე, შვეიცარია, ეკვადორისა და სხვა დელეგაციებმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კოლონიური სახელმწიფოები (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი) სრულიად იზოლირებულნი აღმოჩნდნენ საბჭოთა იმ შეხედულებისათვის, კენჭისყრის დროს, რომლის მიზანია ის, რომ რეზოლუციის ტექსტში ხაზგასმით აღინიშნოს **ყველა ხალხისა** და ერის თვითგამორკვევის უფლება. საბჭოთა ამ შესწორებას ხმა მისცა 29 დელეგაციამ ზემოხსენებული სამი სახელმწიფოს დელეგაციათა წინააღმდეგ; 13 დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა.

გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა

პარიზი, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გაირჩა პალესტინის საკითხი, რომელიც განხილული იყო სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში. ამ საკითხზე პლენუმს წარედგინა რეზოლუცია, რომელიც კომიტეტს თავს მოახვევს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ზეგავლენით და რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის საკითხის ევრეთწოდებული მოგვარების კომისიის საქმიანობის განგრძობას.

როგორც ცნობილია, ეს კომისია შეიქმნა 1948 წელს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და თურქეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით, ვითომდა ისრაელის სახელმწიფოსა და არაბულ ქვეყნებს შორის დავის მოსაწესრიგებლად. არსებითად კი ეს კომისია ახლო და შუა აღმოსავლეთში ამერიკის აგრესიული პოლიტიკის იარაღი ეახლა. ბუნებრივია, რომ კომისიამ თავის საქმიანობაში ვერავითარ დადებითს შედეგს ვერ მიაღწია. სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში მომრიგებელი კომისიის საქმიანობის შესახებ მოხსენების განხილვის დროს სსრ კავშირის დელეგაციამ ცხადყო, რომ კომისიას, რომელიც ხელმძღვანელობდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებით, რომელნიც ცდილობენ კვლავ თავიანთ ბატონობაში დაყოლიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები, არა მარტო არ შეუწყია ხელი დავის მოწესრიგებისათვის, არამედ, პირიქით, აბრკოლებდა ამ მოწესრიგებას. საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა წინადადება — გადადეს ზემოხსენებული კომისია, რათა დაინტერესებულ სახელმწიფოებს შეეძლოთ უშუალოდ გადაწყვეტონ ურთიერთშორის ყველა საკითხი.

გენერალურმა ასამბლეამ ჩვეულებრივი ხმის უმეტესობით დაამტკიცა მის განსახილველად წარდგენილი რეზოლუცია მომრიგებელი კომისიის არსებობის განგრძობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადება მომრიგებელი კომისიის გაუქმების შესახებ უარყოფილ იქნა ასამბლეაში ამერიკა-ინგლისის ბლოკის ხმებით.

ბნელი ფარული ხრიკებისა და გარიგებების საშუალებით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კვლავ მოაბჯნა თავს მომრიგებელი კომისია ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და თურქეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ინტერესების წინააღმდეგ, საშუალებას აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს თავიანთი აგრესიული პოლიტიკის განსახორციელებლად გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული ორგანო—მომრიგებელი კომისია და ჩაერიონ ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 28 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს.

ფრონტებზე განსაკუთრებული ცელილება არ მომხდარა. ფრონტის ცალკეულ უბნებზე წარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები და არტელერიის სროლა.

გუშინ სახალხო არმიის ნაწილებმა დასავლეთ სანაპიროსთან დაიჭიანეს მოწინააღმდეგის ერთი საეს-კადრო ნაღმოსანი და რამდენიმე სხვა ხომალდი, რომლებიც ცდილობდნენ არტელერიის ცეცხლი დაეშინთ სანაპირო რაიონისათვის.

დღეს თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ აღმოსავლეთ სანაპირო რაიონზე თავდასხმაში.

მოღაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 28 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტო კორესპონდენტის მიერ კესონიდან 27 იანვარს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

9 იანვრიდან, როცა კორეისა და ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენელმა დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განხილველ ქვეკომიტეტში შეიტანა ყოველმხრივი წინადადება, რომლის მიზანია დღის წესრიგის ამ პუნქტის მოწესრიგება, არსებობდა საფუძველი ორივე მხარეს შორის უთანხმოების საკითხები გონივრული მოწესრიგებისათვის. მაგრამ ამერიკელები კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ კორეაში ჩვენი მხარის მიერ აეროდრომების აშენების უფლებაში ჩარევას და ამით ცდილობდნენ ჩარეულყვნენ კორეის საშინაო საქმეებში.

25 იანვარს ამერიკის დელეგატმა წინადადება შეიტანა, რომ ორივე მხარის შტაბის ოფიცრები შეხვდნენ ერთმანეთს ზოგიერთი კონკრეტული დეტალის განსახილველად და გადადონ ევრეთწოდებული აეროდრომების საკითხის განხილვა. კორეისა და ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა: „ჩვენს მხარეს მიაჩნია, რომ აეროდრომების საკითხი არ არსებობს. ჩვენი მხარის მიერ შემოტანილი წინადადება ითვალისწინებს, რომ არც ერთი მხარე კორეაში არ შემოიყვანს არავითარ მაშველ შეიარაღებულ ძალებს, მათ შორის არ შემოიტანს საბრძოლო თვითმფრინავებს, რაც უკვე იძლევა ამის გარანტიას, რომ არც ერთი მხარე არ გააძლიერებს და არ დააგროვებს თავის საჰაერო სამხედრო ძალებს დაზავების პერიოდში. კორეაში რაიმე ნაგებობის მშენებლობა მთლიანად საშინაო საქმეებს ეკუთვნის, რომლებში ჩარევის არავითარი უფლება თქვენს მხარეს არა აქვს. ამაზე დაყრდნობით ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ ქვეკომიტეტის სხდომები გადადიოს და ორივე მხარის შტაბის ოფიცრები ერთმანეთს შეხვდნენ იმ პრინციპების დეტალების განსახილველად, რომლებიც უკვე შეთანხმებულია დღის წესრიგის მე-3 პუნქტის შესაბამისად, და რომ ქვეკომიტეტი კვლავ შეეკრიბოს შტაბის ოფიცრების თათბირის რეკომენდაციების განსახილველად, როგორც კი მიღწეულ იქნება შეთანხმება დეტალების შესახებ“.

ამის შემდეგ ქვეკომიტეტმა სხდომები შეწყვიტა და დღეს ღილით გაიმართა შტაბის ოფიცრების პირველი თათბირი. შტაბის ოფიცრების შემდეგი თათბირი დანიშნულია 28 იანვარს ღილის 11 საათზე.

იმ ქვეკომიტეტში, რომელიც დღის წესრიგის მე-4 პუნქტის განხილვას, ამერიკის დელეგატმა სხდომის დაწყების შემდეგ მალევე შეიტანა წინადადება გადაედოთ ქვეკომიტეტის მუშაობა 28 იანვრის ღილის 11 საათამდე. კორეისა და ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ამ სხდომაზე კვლავ განაცხადა ურყევი პოზიცია თავისი მხარისა, რომელიც მოითხოვს ორივე მხარის ყველა სამხედრო ტყვის უშენიშვნოდ განთავისუფლებასა და რეპატრიაციას.

საბერძნეთის სასაპარტოლოს მიერ სიკვდილმისჯილ ბერძენ პატრიოტთა ნათესავების მიმართვა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

პარიზი, 25 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VI სესიის თავმჯდომარეს ნერვოს ვიუგბავნა წერილი, რომლითაც ამხანაგ ი. ბ. სტალინს მიმართეს სიკვდილმისჯილ ბერძენ პატრიოტთა ნათესავებმა. წერილში ნათქვამია:

„მის ალმატებულს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ სტალინს.

მხურვალედ გთხოვთ დაგეხმაროთ, რომ საბერძნეთის მთავრობამ გაატქმოს ახალი სასამართლო პროცესი ექვსის მიმართ იმ 12 პატრიოტიდან, რომლებსაც უკვე მისჯილი აქვთ სიკვდილი და რომელთა მიმართ განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ თქვენი ჩარევის მეოხებით. 375-ე კანონის საფუძველზე ახალი პროცესი ბრალდებულთა მოსაბმის კიდევ ერთი ცდაა. სასამართლოს ახალი განაჩენი, თუ იგი გამოტანილ იქნა, აგრეთვე სასიკვდილო განაჩენი იქნება, ხოლო ექვსი სახალხო მებრძოლისათვის გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა ახალი სისხლიანი პერიოდის დასაწყისი იქნება საბერძნეთისათვის და საშინელი ლახვარი — ესოდენ დაზარალებული ბერძენი ხალხისათვის, რომელიც მოითხოვს მშვიდობასა და მხოლოდ მშვიდობას. ჩვენ კვლავ მხურვალედ გთხოვთ იხსნათ ჩვენი შვილები სიკვდილისაგან. ერთხელ კიდევ დაუმტკიცეთ ბერძენ ხალხს თქვენი სიმპათია. წინდაწინ გიძღვნით მადლობას, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ტანჯვა გამოსმეურებას ჰპოვებს თქვენს ადამიანურ და მშვიდობისმოყვარულ გრძნობებში.

ვასილიკი ბელოიანი, ირინა გრამენუ, ირო პაპა, ა. კალოფოლია, ა. კანელოპულუ“.

როგორც აღნიშნულია ამხ. მალიკის მიერ დართულ ტექსტში, მოყვანილი წერილიდან „ჩანს, რომ 1951 წლის 20 და 23 ნოემბერს გენერალური ასამბლეის VI სესიის სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე საბერძნეთის დელეგატის ოფიციალური დამაშვიდებელი განცხადებანი იმის შესახებ, რომ ამ წერილში დასახელებულ ბერძენ პატრიოტებს სიკვდილით დასჯა არ ემუქრება და რომ ყველა მათგანზე ვრცელდება საბერძნეთის მთავრობის მიერ მიღებული შეწყალების ღონისძიებანი, სინამდვილეში მიზნად ისახავდა მხოლოდ იმას, რომ შეცდომაში შეეყვანათ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი. აღნიშნული წერილი მოწმობს იმასაც, რომ ამ ბერძენ პატრიოტთა წინააღმდეგ მზადდება ახალი სასამართლო დევნა და რომ მათი სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია, მათ მოელით ახალი სასიკვდილო განაჩენის გამოტანა.

აღნიშნულის გამო გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარეო, იხელმძღვანელოთ გენერალური ასამბლეის III და IV სესიებზე მიღებული ჰუმანური მიდგომით საბერძნეთში პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა დაცვისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით სასწრაფოდ მიიღოთ საჭირო ღონისძიებანი ამ ბერძენ პატრიოტთა სიცოცხლის გადასარჩენად.

გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარეო, განკარგულებას, რომ ეს ჩემი წერილი გამოიცეს გენერალური ასამბლეის დოკუმენტის სახით და დაგზავნოს იგი ყველა დელეგაციას გენერალური ასამბლეის VI სესიაზე“.

ცნობილია, რომ ბერძენ პატრიოტთა ნათესავებმა ამხანაგ ი. ბ. სტალინისათვის გაგზავნილ წერილს ანალოგიური წერილები გაუგზავნეს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ტრუმენს, საფრანგეთის პრეზიდენტს ვენსან ორიოლსა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჩერჩილს.

ამერიკელები ინსპექციას უნევენ აეროდრომების მშენებლობას თურქეთში

სტამბული, 28 იანვარი. (საკდესი). პრესის ცნობებით, თურქეთში მყოფმა ამერიკის სამხედრო დელეგაციამ, რომელსაც გენერალი პიკი მეთაურობს, ინსპექცია გაუწია სამხედრო-საჰაერო ბაზების მშენებლობას ანკარაში, ადანასა და ბალიკესირში. დელეგაციას განზრახული აქვს დაათვალიეროს ზოგიერთი აეროდრომის მშენებლობა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც.

ინგლისელ-ამერიკელ ბანდიტთა ახალი ავანტიურა

ბეიფინი, 28 იანვარი. (საკდესი). ინგლისელ-ამერიკელ ბანდიტთა ახალი ავანტიურა ეგვიპტეში ამ ბოლო დროს ინგლისელ-ამერიკელ ბანდიტთა ეგვიპტეში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა ერთ-ერთ ახალ ფურცელს ეკუთვნის. ინგლისელ-ამერიკელ ბანდიტთა ეგვიპტეში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა ეს ფურცელი ეხება